საქართველო
GEORGIA

თავდაცვის სამინისტრო
MINISTRY OF DEFENCE

№ 5/460
„18“ 12 2007წ.

საქართველოს საგარეო საქმეთა
მინისტრის მოადგილეს
ბატონ კახაბერ ჩიქოვანს

ბატონო კახაბერ,

გაცნობებთ, რომ დაგეგმილია საქართველოს მიერთება ნატო-ს საჰაერო სივრცის ვითარების ურთიერთგაცვლის სისტემასთან, რაც საქართველოს საჰაერო სივრცის მონაცემების ნატო-ს წევრი ქვეყნების საჰაერო-საკომანდო პუნქტებისათვის პირდაპირ რეჟიმში მიწოდებას უზრუნველყოფს და მომავალში გახდება საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევის თავიდან ასაცილებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე წლის 21 დეკემბრამდე, ნატო-ს შტაბბინაში წაშობაო უქმე დღეების დაწყებამდე, ხელი მოეწეროს საქართველოს, თურქეთის რესპუბლიკის მთაერობასა და მოკავშირეთა ევროპული ძალების უმაღლეს შტაბს შორის „სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობის ცენტრალურ საკომანდო ცენტრს (CCC), თბილისი (საქართველო) და კონტროლის და რეპორტების ცენტრ (CRC) ერზრუმს (თურქეთი) შორის საჰაერო ვითარების მონაცემთა გაცვლის შესახებ“ ურთიერგაგების მემორანდუმს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ აღნიშნული მემორანდუმის პროექტის საბოლოო ვერსიას ინგლისურ და ქართულ ენაზე (შეთანხმების ფურცელთან და თავდაცვის სამინისტროს დასკვნასთან ერთად) და გთხოვთ, გვიშუამდგომლოთ საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ქალბატონ **ნინო ბურჯანაძის** წინაშე, რათა „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღნიშნულ ოქმზე ხელმოსაწერად უფლებამოსილება გაიცეს ნატო-ს შტაბბინაში საქართველოს სამხედრო წარმომადგენლის ვიცე-პოლკოვნიკ **ომარ ბეგოიძის** სახელზე.

დანართი: 22 (ოცდაორი) ფურცელი.

პატივისცემით,

გ. მუჩაიძე

**გიორგი მუჩაიძე**

მინისტრის მოადგილე

№ 2446/2
20 12 07

0112 ქ. თბილისი, გენერალ გ. ყვინიტაძის ქ. 20 ტელ./ფაქსი: (+995 32) 912058
20 General G. Kvinitadze Str. 0112, TBILISI, GEORGIA, Tel./Fax: (+995 32) 912058